ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 18

25 დეკემბერი, 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ა. ლაშხი, ნ. ვაჩეიშვილი, ვ. ძნელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;

ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბატონი ბექა დავითულიანი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომის თავმჯდომარის არჩევა.
   მომხსენებელი: ბატონი ბექა დავითულიანი
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი.

2. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის

№6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#12-0318355197-03; 21.12.2018).

მომხსენებელი: ქალბატონი მაკა ნასრაშვილი

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

3. **საკითხი:** “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (#12-0318344134-03; 10.12.2018).

მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

კომისიის წევრი ბატონი ბექა დავითულიანი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

1. დღის წესრიგის პირველი საკითხი წარადგინა ბატონმა ბექა დავითულიანმა. მისი განმარტებით განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზით ვერ ახერხებს სხდომაზე დასწრებას. აქედან გამომდინარე, დეპუტატმა შესთავაზა საკუთარი კანდიდატურა კომისიის წევრებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებმა კომისიის 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ბატონი ბექა დავითულიანი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა:
ბექა დავითულიანმა.

2. სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა დავითულიანმა დღის წესრიგით გათვალისიწინებულ მეორე საკითხთან - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018

წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - დაკავშირებით აღნიშნა, რომ სხდომას ესწრებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფრსის მოადგილე, ქალბატონი მაკა ნასრაშვილი, რომელიც დეტალურად ისაუბრებდა ცვლილებისა და მისი მიზეზების შესახებ.

ქალბატონი მაკა ნასრაშვილის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტი კულტურის მიმართულებით ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

100 000 ლარით მცირდება პროგრამა „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“ (კოდი 08 02), ვინაიდან დედაქალაქის ხელოვნების სკოლებში ფესტივალი „დათალიერება“ ჩატარდება არა ყოველწლიურად, არამედ რამდენიმე წელიწადში ერთხელ. ფესტივალის მიზანია ხელოვნების სკოლების მიღწევების წარმოჩენა და გაცნობა.

ტენდერებიდან მიღებული ეკონომიების შედეგად, 272 800 ლარით მცირდება ქვეპროგრამა „კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (კოდი 08 04 04).

პროგრამა „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი 08 13) 20 000 ლარით მცირდება, რაც გამოწვეულია დაგეგმილი ინკლუზიური კულტურულ-საგანმანათლებლო კონფერენციის 2019 წელში გადატანის მიზეზით.

თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ათვისებამ კულტურის ნაწილში 98.8%-ი შეადგინა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა დავითულიანმა აღნიშნა, რომ 15 700 000 ლარით იზრდება საბავშვო ბაგა-ბაღების დაფინანსება, რაც გათალისწინებულია საბავშვო ბაგა-ბაღების დეკემბრის თვის მიმდინარე ხარჯების დაფარვის, საბავშვო ბაგა-ბაღების პერსონალის საახალწლო პრემიისა და არაფინანსური აქტივების ზრდისთვის.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ბექა დავითულიანმა, მაკა ნასრაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	5
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	1(კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის, შესაბამისი სამსახურების მოსმენისა და მსჯელობის შედეგად, გადაწყვიტა რომ:

კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა დავითულიანმა, მადლობა გადაუხადა ქალბატონ მაკა ნასრაშვილს წარმოდგენილი ინფორმაციისთვის. მესამე საკითხთან დაკავშირებით - “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - აღნიშნა, რომ კომისიას შესაბამის ინფორმაციას წარმოუდგენდა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი ბატონი გაიოზ თალაკვაძე.

ბატონი გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში განათლების სფეროს მიმართულებებზე საბიუჯეტო ასიგნებები გათვალისწინებულია შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

პროგრამისთვის “სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება” (07 01) განსაზღვრულია 157 797,5 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც, 2019 წლის განმავლობაში 20-მდე საბავშვო ბაგა-ბაღს ჩაუტარდება სარემონტო სამუშაოები, 21-მდე საბავშვო ბაგა-ბაღს - გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები. ასევე, განხორციელდება სრულიად ახალი 11 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა.

ქვეპროგრამისთვის „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (07 02 01) განსაზღვრულია 142.2 ათასი ლარი;

პროგრამისთვის „ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა“ (07 03) გათვალისწინებულია 2 700,0 ათასი ლარი. მათ შორის, ქვეპროგრამისთვის „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა“ (07 03 01) - 1 961,0 ათასი ლარი; ქვეპროგრამისთვის „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა“ (07 03 03) - 739,0 ათასი ლარი;

პროგრამისთვის „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (07 04) გათვალისწინებულია 180,0 ათასი ლარი;

პროგრამისთვის „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება“ (07 05) გამოყოფილია 2 085,0 ათასი ლარი. მათ შორის, „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (07 05 01) - 270,0 ათასი ლარი; „იურიდიული კლინიკა“ (07 05 02) - 615,0 ათასი ლარი; „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (07 05 03) - 1 200,0 ათასი ლარი.

პროგრამისთვის „მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“ (07 06) გამოყოფილია 2 715,7 ათასი ლარი.

ბატონი გაიოზ თალაკვაძის თქმით, კულტურის სფეროს მიმართულებებზე საბიუჯეტო ასიგნებები გათვალისწინებულია შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

პროგრამისთვის „თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“ (08 01) გათვალისწინებულია 2 283,9 ათასი ლარი. მათ შორის, „სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი“ (08 01 01) - 858,2 ათასი ლარი; „პანტომიმის სახელმწიფო თეატრი“ (08 01 02) - 344,5 ათასი ლარი; „თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი“ (08 01 03) - 662,9 ათასი ლარი; „თეატრი „გლობუსი“ (08 01 05) - 215,3 ათასი ლარი; „სამეფო უბნის თეატრი“ (08 01 08) 203,0 ათასი ლარი;

პროგრამისთვის „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა“ (08 02) გათვალისწინებულია 1 913,6 ათასი ლარი;

პროგრამისთვის „ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია“ (08 03) გამოყოფილია 1 146,0 ათასი ლარი. მათ შორის, „ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა“ (08 03 10) - 132,8 ათასი ლარი; „მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა“ (08 03 12) - 1 013,2 ათასი ლარი.

პროგრამისთვის „ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება“ (08 04) განსაზღვრულია 2 944,5 ათასი ლარი. მათ შორის, „საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“ (08 04 01) 505,7 ათასი ლარი; „ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა“ (08 04 03) - 138,8 ათასი ლარი; „კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (08 04 04) - 2 300,0 ათასი ლარი.

პროგრამისთის „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (08 05) გამოყოფილია 3 050,0 ათასი ლარი;

პროგრამისთვის „შემოქმედებითი თბილისი“ (08 09) გამოყოფილია 280,0 ათასი ლარი;

პროგრამისთვის „თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი“ (08 12) გამოყოფილია 392,5 ათასი ლარი;

პროგრამისთვის „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“ (08 13) გამოყოფილია 100,0 ათასი ლარი.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ საბიუჯეტო პროგრამის „შემოქმედებითი თბილისის" ფარგლებში გამოცხადდება კონკურსი, რითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია საგრანტო დაფინანსების ნაწილში პირველად გადადის საკონკურსე სისტემაზე; მისი განმარტებით, შეიქმნება ცალკე ელექტრონული პროგრამა, რითაც წელიწადში ორჯერ გამოცხადდება კონკურსი ეკონომიკის მიმართულებით სხვადასხვა კრეატიული დარგებში, რომლის ფარგლებში ხელი შეეწყობა ბიზნესის დამწყებებს ტრადიციული რეწვის, კერამიკის, ფოტოგრაფიის, კინომატოგრაფიის, სკულპტურის და სხვა მსგავს დარგებში.

კომისიის წევრი, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა, პროგრამისთის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხის რაოდენობით, რაზეც ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ პროგრამა ერთი მილიონი ლარით დაფინანსდება.

ამავე საკთხზე კომისიის წევრი, ბატონი ვლადიმერ ძნელაძე დაინტერესდა პროექტში ჩართული ბენეფიციარების მოსალოდნელი რაოდენობით, რასთან დაკავშირებითაც ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ ბენეფიციარების რაოდენობა კონკრეტულად ლიმიტირებული არ იქნება, თუმცა სავარაუდოდ, თითო სუბიექტის მიერ წარმოდგენილ პროექტზე 20 000 ლარი დაიხარჯება. დეპუტატმა, ვლადიმერ ძნელაძემ დამატებით აღნიშნა, რომ მსგავს პროგრამებზე სუბიექტების ერთჯერადად დაფინანსება, როგორც წესი, არაეფექტიანია და საჭიროა, მუნიციპალიტეტმა მსგავსი პროექტების გამარჯვებულებს შემდგომშიც გაუწიოს დახმარება.

სხდომის მინდინარეობისას კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი და მასში გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები. ამასთანავე, კომისიის წევრების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ საბიუჯეტო პროგრამების განხორციელებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომელთა ხელფასების ზრდაზე ღირსეული ანაზღაურებისთვის; აგრეთვე, კულტურის პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტის 2019 წელს დასრულებაზე; მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობისას

მათში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სივრცის გათვალისწინებაზე; მუნიციპალური სახელოვნებო და საგანმანათლებლო ობიექტების მოდერნიზება-განვითარებაზე; კულტურული ღონისძიებების დაგეგმვისას, მათი დედაქალაქის მასშტაბით განშლის თაობაზე წინასწარ განსაზღვრული რუკისა და კალენდრის მეშვეობით.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ბექა დავითულიანმა, ვლადიმერ ძნელაძემ, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, მაკა ნასრაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	5
წინააღმდეგი _____	1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა)
თავი შეიკავა _____	0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ **გადაწყვიტა, რომ იგი დადებითად აფასებს აღნიშნულ ბიუჯეტის პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს შესაბამისი დადგენილების** პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **სხდომაზე** განსახილველად.

ბატონმა ბექა დავითულიანმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
ბექა დავითულიანი